საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/57 " 10 " ივნისი 2022 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ი. ყიფიანისათვის საჩხერის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების დაკისრების შესახებ

2022 წლის 5 ივნისს რამდენიმე სასამართლოს თავჯდომარეს, მათ შორის, საჩხერის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარეს, ამოეწურა თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადა. თავმჯდომარეთა დანიშვნის საკითხი დაკავშირებულია „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პროცედურებთან, რაც მოითხოვს გარკვეულ დროს.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარის, ხოლო იმ სასამართლოში, სადაც შექმნილია სასამართლო კოლეგიები, - სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარის დანიშვნამდე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, მისი უფლებამოსილების განხორციელება შეიძლება დაეკისროს ამავე სასამართლოს ერთ-ერთ მოსამართლეს.

სასამართლოს თავმჯდომარის ფუნციების გათვალისწინებით, მისი არყოფნა უარყოფითად აისახება სასამართლოს გამართულ ფუნქციონირებაზე, რის გამოც, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის მიერ დაყენებულ იქნა საკითხი, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროცედურის საფუძველზე თავმჯდომარის დანიშვნამდე, უფლებამოსილების მოსამართლე ივანე ყიფიანისათვის დაკისრების თაობაზე. საკითხი მხარდაჭერილ იქნა საბჭოს ყველა წევრის მიერ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ივანე ყიფიანს დაეკისროს საჩხერის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების განხორციელება, 2022 წლის 13 ივნისიდან.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე